



საქციალური სტივენდია სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტთათვის

83.4



უნივერსიტეტის განვითარების ფონდის წესდებაზე მუშაობა დაიწყო

83.2



83.5

სტატუსის ცვლილება მსოფლად და მსოფლად წაადგება უნივერსიტეტს!



ინტარვიუ თსუ-ის რექტორთან ალექსანდრე კვიციანიძესთან

ინო კაკულია

— როგორ შეაფასებთ განვლილ წელს. რით იყო 2011 წელი უნივერსიტეტისთვის და თქვენთვის, როგორც რექტორისთვის, გამორჩეული?

— 2011 წელი საკმაოდ რთული წელი იყო. ჯერ ერთი, ჩემთვის ეს იყო საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და სტრუქტურების გაცნობის, ასევე, ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში სიღრმისეულად გარკვევის წელი. გარდა ამისა, 2011 წელს ძალიან ბევრი რამ მოხდა: კერძოდ, დაიწყო უნივერსიტეტთან 14 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების შემოერთება, რამაც ჩვენი სამეცნიერო პოტენციალი გააძლიერა და ლაბორატორიების ქსელი გააფართოვა, შემდეგი წლიდან კიდევ ორი — არნოლდ ჩოქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინ-

სტიტუტი და აკადემიის ბიბლიოთეკა შემოგვიერთდება.

უამრავი მნიშვნელოვანი განწყვეტილება მიიღო აკადემიურ-მა საბჭომ, მათ შორის, პროფესორისთვის სამუშაო ვადის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება — ორწლიანი კონტრაქტი გაიზარდა ოთხწლიამდე, სამწლიანი — ექვსწლიამდე. გარდა ამისა, 2011 წელს უამრავი ახალი ხელშეკრულება გაფორმდა, დაიწყო და ამოქმედდა ძალიან ბევრი მრავალთვიანი პროგრამა. მნიშვნელოვნად მიმართა ბიზნესის ადმინისტრირებაში იენის უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ამუშავება და კიდევ მრავალი სხვა მოვლენა თუ ღონისძიება უნივერსიტეტის ფარგლებში.

60-3 გვერდზე

ტრენინგები ლექსიკოგრაფიაში



ჟურნალი „თსუ მეცნიერება“ წელიწადში ორჯერ გამოვა

83.9

დევიდ გორდონი საქართველოში ვიზიტის მიზნებზე

83.4

გამოვლენილი ორატორები

83.8

როგორ შეტყუვდება სტუდენტები?

83.8



ის, რატომ სიცოცხლე ვერ ვუთხარით

83.11

ახალი სენსაცია მსოფლიო კულტურის ისტორიაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემულმა იბეჭდება პროფესორების გურამ ლორთქიფანიძისა და მარიამ მშვილდაძის სახელმძღვანელო — „ბიბლიური არქეოლოგია“. მასში სხვა ბიბლიურ წყაროებთან ერთად განხილულია ყველა ქრისტიანისათვის ამაღლებული ერთი უახლესი აღმოჩენა. 2005-2007 წლებს შორის, პალესტინაში, იორდანის ჩრდილოეთ ნაწილში, უჩვეულო კოკისპირულმა წვიმებმა უცნობი მღვიმეები გამოიხატა. აქ მწყემსმა ბედუინმა მღვიმის ნიშნები იპოვა ტყვიის ფირფიტებისაგან მათთვის რგოლებით აკინძული 15 სმ სიგრძის და 8 სმ სიგანის 70 წიგნი, თითოეული შედგებოდა 5-15 ტყვიის ფურცლისაგან. იგი მიხვდა, რომ უბრალო წიგნთან არ ჰქონდა საქმე. წიგნზე გამოსახული გახლდათ შვიდასათობი, იუდაიზმის წმინდა სიმბოლო — მენორა. სამოცდაათივე ტყვიის წიგნი დაფარულ-

ლი იყო წარწერებით — (როგორც ეს შემდგომ ექსპერტებმა დაადგინეს) ებრაულ-არამეული და, ცალკეულ შემთხვევაში, ბერძნული დაქარაგმებული დაშიფრული ასო-ნიშნებით. კუმრანის ცნობილი მანუსკრიპტების აღმოჩენების შემდეგ, რაც „მკვდარი ზღვის“ გამოქვაბულებში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1947 წელს), მსგავს სენსაციურ მოვლენას ადგილი არ ჰქონია მსოფლიო კულტურის ისტორიაში. მუშაობა ამ „კოდექსის“ გაშიფვრაზე მიმდინარეობს დიდ ბრიტანეთში (ოქსფორდის უნივერსიტეტი), ისრაელსა და შვეიცარიაში. წინასწარი მონაცემებით განსაზღვრულია „კოდექსის“ შექმნის დრო — ახ. წ. I საუკუნე. გაშიფრულ ნაწილში საუბარია მაცხოვრის — იესო ქრისტეს ცხოვრების უკანასკნელ წლებზე. სპეციალისტების ვარაუდით ის წარმოადგენს გამოცხადების წიგნს, რომლის შესახებ ბიბლიის „ახალი აღთქმის“

წიგნშიცაა საუბარი. ტყვიის მანუსკრიპტები პირველი ქრისტიანების, მაცხოვრის თანამედროვეთა და მისი მიმდევრების მიერ არის შედგენილი. ისინი დევნილები იყვნენ, რომლებიც გაეცალნენ იერუსალიმს, გადალახეს მდინარე იორდანი და შემდეგ მათ იერუსალიმის აღმოსავლეთით მდებარე უკანასკნელ ადგილებს — მღვიმეებს შეაფარეს თავი. მის ადრექრისტიანულ ეპოქაში შექმნაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ისინი არა თუ გრავირებდნენ, არამედ ე.წ. „კოდექსებს“ (წიგნები ფურცლებებისაგან შედგენილი კრებულები). ამ გარემოებათა გამო მას აკუთვნებენ არა იუდაურ, არამედ ადრექრისტიანულ კულტურას. ნიშანდობლივია, რომ ამ „კოდექსის“ ცალკეულ ფურცლებზე გამოსახულებებიც არის, მათ შორის, იერუსალიმის გეგმა. ქალაქის კედლებს გარეთ მალალოებზე ჯვრებიცაა აღმართული. მკვლევარები



არ გამორიცხავენ, რომ ეს გოლგოთაა. „კოდექსში“ მოცემულია უცნობი ადამიანის პორტრეტული გამოხატულება. ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი ვარაუდობს, რომ იგი, შესაძლოა, თავად იესო ქრისტე იყოს. თუ შემდგომმა გრაფიკულმა რეკონსტრუქციებმაც დაადასტურა, შესაძლოა, ეს თანამედროვეის მიერ შესრულებული თავად მაცხოვრის სურათია. სამწუხაროდ, მხატვრული თვალსაზრისით, მასსოფრობით შექმნილი პორტრეტული

ნახატი სრულყოფილი არ გახლავთ. შემდგომმა კვლევამ იბეჭადა უნდა დააზუსტოს ამ სენსაციური აღმოჩენის მნიშვნელოვანი დეტალები. მთავარია, რომ „კოდექსი“ ყველაზე ადრეული ქრისტიანული „წმიდა წიგნი“.

გურამ ლორთქიფანიძე, პროფესორი ნინო გომისაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს სტიპენდია სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტთათვის

25 იანვარს საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულო-ვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა და სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტებს მისი ინიციატივით დაწესებული სტიპენდიები გადასცა. სტიპენდიები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს კატეგორიად იყოფა და იგი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისთვის დაწესდა. უნივერსიტეტში გამართულ ცერემონიაზე საქართველოს პირველი ლედი სტიპენდიები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 6 სტუდენტს გადასცა.

შურთხია ბაროშვილი

„ოქროს სტიპენდიის“ მფლობელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები — თეო გვალია და თამარ ნიკლაური გახდნენ. „ვერცხლის სტიპენდია“ ილიას უნივერსიტეტისა და თსუ-ის მაგისტრანტებს — მარიამ შეთეკაურს და ხატია შარიძეს, ხოლო „ბრინჯაოს სტიპენდიები“ თსუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტებს — ელენე როჭიკაშვილს და ეკა ჩერქეზიშვილს გადაეცათ. პირველი ლედის ეს ინიციატივა საქართველოში დაარსებული ჩინური კომპანია HUAWEI-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

როგორც დაჯილდოების ცერემონიაზე სანდრა ელისაბედ რულოვსმა განაცხადა, სტიპენდიების დაწესება სოციალური მუშაობის პროფესიის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

„სოციალური მუშაობის პროფესია ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ამ დარგის განვითარებას დიდი მნიშვნელობა

აქვს ჯანდაცვისა და სოც-უზრუნველყოფის სფეროში. სოციალური მუშაობის თანადგომას და მხარდაჭერას უწევს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც განსაკუთრებით საჭიროებს სახელმწიფოსგან ზრუნვას“, — აღნიშნა საქართველოს პირველი ლედი. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ მომავალი წლიდან სტიპენდიატთა რიცხვი კიდევ გაიზარდოს.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ანდრია ურუშაძის განცხადებით, სტიპენდიები სწავლის პერიოდშივე შეძლებენ სამინისტროში სტაჟირების გავლას და პროფესიული უნარჩვევების შექმნას.

„ჯანდაცვის სამინისტროს აკლია ამ დეფიციტური პროფესიის წარმომადგენლები. მხარს ვუჭერთ ყველა ინიციატივას, რაც სოციალური მუშაობის დარგის განვითარებისკენ არის მიმართული“, — აღნიშნა მინისტრმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიციანიშვილის აზრით, სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტებისთვის სტიპენდიის დაწესება მეტად მნიშვნელოვანია.



პენდიის დაწესება მეტად მნიშვნელოვანია.

„ეს არის ქვეყანაში ერთერთი ყველაზე საჭირო და მოთხოვნი პროფესია. ჯანდაცვის სამინისტროში უკვე გამოცხადებულია 40 ვაკანსია სოციალური მუშაკებისთვის.“

ისე რომ, სოციალური მუშაკების დასაქმება პრაქტიკულად გარანტირებულია“, — აღნიშნა რექტორმა.

სტიპენდიებზე მოიხონეს საქართველოს პირველი ლედის ინიციატივა და აღნიშნეს, რომ მათთვის ასეთი ნახალისება დიდი სტიმულის მომცემია.

„ჩემთვის მოულოდნელი იყო ამ სტიპენდიის მიღება. სტიპენდიები აკადემიური მოსწრების მიხედვით შეგვარჩიეს და ეს ჯილდო ამ გზით მოვიპოვე. როგორც ქალბატონმა სანდრამ და ბატონმა ალექსანდრე კვიციანიშვილმა აღნიშნეს, ჩვენი პროფესია ძალიან პერსპექტიულია და იმედია, ამ მიმართულებით დასაქმებაც არ გაგვიჭირდება“, — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტიუდენტმა თეო გვალიამ.

„მართალია „ბრინჯაოს სტიპენდია“ მოვიპოვე, მაგრამ იმ კონკურენციის პირობებში, რომელიც გავიარე, ეს დიდი დამსახურებაა. მიხარია, რომ ჩემი არჩევანი სწორი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ სოციალური მუშაკის პროფესია არც თუ ისე პოპულარული იყო. მომავალში ვეცდები, აკადემიური მოსწრება გავიმჯობესო და უფრო კარგად და საფუძვლიანად დავეუფლო ამ პროფესიას“, — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტიუდენტმა ელენე როჭიკაშვილმა.

ლონისძიებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჩენ ძიანფუ, ჩინური კომპანია HUAWEI-ის წარმომადგენლები და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებიც დაესწრნენ.

დევიდ გორდონი საქართველოში ვიზიტის მიზნებზე

23-24 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ დევიდ გორდონის სემინარი გაიმართა თემაზე: „სამედიცინო განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. სემინარზე განიხილეს შემდეგი საკითხები: დიპლომის შემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლება ევროპაში – სტრუქტურები და პროცესები; დიპლომის შემდგომი განათლების თანამედროვე ტენდენციები, შედეგებზე და კომპეტენციებზე ორიენტირებული შეფასების სისტემები და მათი როლი; სტანდარტების გამოყენება სამედიცინო განათლებაში და სამედიცინო სკოლების აკრედიტაციის საერთაშორისო ტენდენციები და ექიმის გლობალური როლი ჯანდაცვის სისტემაში.

დევიდ გორდონი ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის პრეზიდენტი და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის, ასევე, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებათა ფაკულტეტის მონვეული პროფესორია, ხოლო 2007 წლიდან იგი ევროპაში ბიომედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტია. სწორედ მისმა კომპეტენციის დონემ განაპირობა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დაინტერესება ბატონ დევიდ გორდონთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. სწორედ ამ კონტაქტების მეშვეობით მოხერხდა მისი მონვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. როგორც აღვნიშნეთ, მას გარკვეული კოლეგიალური ურთიერთობა ჰქონდა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორსთან, რომელსაც მრავალჯერ შეხვედრია საერთაშორისო კონფერენციებზე და სემინარებზე, ამიტომ ქართველი კოლეგების თბილისში მიპატივებას იგი სიამოვნებით დათანხმდა და მედიცინის ფაკულტეტის ინიციატივითა და „ტემპუსის“ ეროვნული ოფისის მხარდაჭერით თსუ-ში გამართულ სემინარზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხა. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო განათლების წარმომადგენლები — თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოში ვიზიტის მიზნებსა და ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე გვესაუბრება პროფესორი დევიდ გორდონი:

თამარ ლადინი

— ბატონო დევიდ, რა არის თქვენი ვიზიტის მიზანი და რა მნიშვნელობა აქვს ასეთი სემინარების გამართვას სამედიცინო განათლების განვითარების თვალსაზრისით?

— დღეს სამედიცინო განათლების საერთაშორისო გამოცდილების ანალიზმა ობიექტურად განაპირობა დიპლომის შემდგომი და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების კოორდინაცია და ინტეგრაცია სარეზიდენტო საფეხურებზე, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს სამედიცინო და, საზოგადოდ, საბუნებისმეტყველო სპეციალობების პროგრესულ განვითარებას. ასევე, მნიშვნელოვანია უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის ხელშეწყობა, სამედიცინო კვლევების უსაფრთხო და ეფექტური გამოყენების ახალი მიდგომების მოძიება და რეკომენდაციები შესაბამისი სტრუქტურების წინაშე.

ჩემი ვიზიტის ძირითადი მიზანია სამედიცინო განათლების განვითარების ზოგად მიმართულებაზე საუბარი და სამედიცინო განათლების მდგომარეობისა და დონეების განსაზღვრა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. ასევე, ქართველი კოლეგებისათვის იმ გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაცნობა და გაზიარება, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები გვთავაზობენ.

დღეს მსოფლიოს ყველა სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე მედიცინის მიღწევების გაზიარება, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, რათა არსებობდეს საუკეთესო სამედიცინო პრაქტიკა და გვყავდეს ბევრი ეფექტური და მომუშავე სამედიცინო პერსონალი.

— თქვენ ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის პრეზიდენტი და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მონვეული პროფესორი ბრძანდებით. რას აკეთებენ ეს ორგანიზაციები სამედიცინო განათლების, სამედიცინო სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით?

— ექიმის სავალდებულო მონაწილეობა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესში სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით რეგულირდება. იმ ქვეყნებში, სადაც უწყვეტი სამედიცინო განათლება სავალდებულო არ არის, ამოქმედებულია ისეთი სტიმული, რომელიც მედიცინის მიმდევარს და აუცილებელსაც კი ხდის ექიმისთვის ცოდნის მუდმივ განახლებას. ის ორგანიზაციები, სადაც მე ვმოღვაწეობ, დაკავებული არიან უწყვეტი პროფესიული განვითარების, განათლების ხარისხისა და ჰარმონიზაციის ხელშეწყობით ევროპაში. ჩვენ ვმუშაობთ, აგრეთვე, ეროვნული აკრედიტაციის სამსახურების საქმიანობის მხარდაჭერის მიმარ-

თულებითაც. ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ ევროკომისიასა და ევროპარლამენტთან სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტების დასამკვიდრებლად.

ვეფიქრობ, რომ ექიმთა მონაწილეობა საჭიროებს ნახალისებას, რადგან უწყვეტი პროფესიული განვითარება და განათლების დანერგვა აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პრაქტიკის განვითარებისთვის. საქართველოში ასეთი ბერკეტების ამოქმედება უფრო მიმზიდველს გახდის ექიმებისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესში მონაწილეობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება პაციენტი გარანტირებული უსაფრთხო, მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარებით.

AMSE (ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაცია) 1974 წელს დაარსდა, რომლის მიზანია განავითაროს ურთიერთობები პროფესიულ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო აკადემიური მეწეულების, სამედიცინო კვლევებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან თანამშრომლობისათვის შექმნილი პროექტები ხორციელდება იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს რეგიონალური ურთიერთთანამშრომლობა უნივერსიტეტებს, კერძო სექტორსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის, რათა გაიზარდოს და გაფართოვდეს ინოვაციური



თემის რესპონდენტი დევიდ გორდონი

მიდგომები სამედიცინო განათლების განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ ამ მიმართულებით ქართულ მხარესთანაც ვთანამშრომლობთ.

— თქვენ ვაიცანით ქართველი კოლეგები, მათთან მსჯელობით სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. რა შთაბეჭდილებებით ბრუნდებით უკან?

— ქართველი კოლეგები ყოველთვის გამოირჩევიან დიდი ინტერესით. ისინი მზად არიან მიიღონ სრული ინფორმაცია სამედიცინო განათლების განვითარების შესახებ მთელ მსოფლიოში, გაცნონ იმ ცვლილებებსა და ინიციატივებს, რაც სამედიცინო სფეროში ინერგება, რათა ქართულ სინამდვილეში მოახდინონ მათი დანერგვა, გატარება და განვითარება.

— სამომავლოდ თუ აპირებთ ქართველ კოლეგებთან უფრო აქტიურ თანამშრომლობას?

— ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ურთიერთ-თანამშრომლობა უფრო აქტიურ და საქმიან ფაზაში გადავა. ამის სურვილი დიდი გვაქვს, ახლა ჯერი მონდომებაზეა...



სურსათის უვნებლობისა და ხარისხის თანამედროვე მენეჯმენტი

დღევანდელი სამომხარებლო ბაზარი რომ ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მავნე სასურსათო პროდუქციით არის გაჯერებული, ამაზე უკვე აღარაფერს ვთქვით. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ქართველი მომხმარებელი ბრმად ენდობა პროდუქტს, ყურადღებას არ აქცევს ეტიკეტზე განთავსებულ ინფორმაციას და მისი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ახსენდება, როცა სამედიცინო ჩარევა ხდება საჭირო.

საქართველოს მსგავსი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის სურსათის უვნებლობა განსაკუთრებით რთული და კომპლექსური საკითხია, რომელიც მრავალმხრივ გადანაცვლებას მოითხოვს. განვითარებასთან და გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა გაზარდა სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკები და სახელმწიფოში მოქმედი ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემები სირთულეების წინაშე დააყენა.

თამარ ლალიანი

გამოთქმა — „სურსათის უვნებლობა“ არც ისე დიდი ხანია დამკვიდრდა საქართველოში. იგი აქამდე, ძირითადად, ხარისხსა და უსაფრთხოებასთან იყო გაიგივებული. სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების — ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთერთი აუცილებელი პირობაა და, შესაბამისად, სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვა გულისხმობს. ამდენადაა მნიშვნელოვანი ამ საკითხებზე აქტიური მსჯელობა, პრობლემების მეცნიერული შესწავლა-გააზრება და კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

სწორედ ამ მიზნით, 20 იანვარს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდა სემინარი თემაზე: „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის თანამედროვე მენეჯმენტი: რეალობა და პერსპექტივები“. სემინარის ორგანიზატორები იყვნენ: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. განხილული იყო შემდეგი საკითხები: „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის საკანონმდებლო რეგულირება და სახელმწიფო კონტროლი (მომხსენებელი — პროფესორი ქეთევან ლაფერაშვილი); „HACCP-ისა და მიკვლევადობის სისტემების დანერგვის მნიშვნელობა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის სფეროში“ (მომხსენებელი — პროფესორი ეთერ სარჯველაძე) და „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის ეკონომიკური ასპექტები“ (მომხსენებელი — პროფესორი დავით ნარმანიანი).

პროფესორმა ქეთევან ლაფერაშვილმა ისაუბრა სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებზე, საკანონმდებლო ცვლილებებზე, შე-



მუშავებულ სტრატეგიაზე, მათი შესრულების მდგომარეობასა და არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე. მისი ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 8 მაისის №22 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა“, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის დეკემბერში მიღებულ კანონს „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“. კანონით განისაზღვრა სურსათის უვნებლობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, მისი განხორციელების და კოორდინაციის სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს შესაბამის რეგულაციასა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს.

კანონის მიზანია მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა მოხმარებისთვის განკუთვნილ სურსათთან მიმართებაში შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მისი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. კანონი არეგულირებს სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობის, ხარისხის, ეტიკეტების ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს; სურსათისა და ცხოველის საკვების მწარმოებელთა და დისტრიბუტორთა ვალდებულებებს; სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობის და ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს; ასევე განსაზღვრავს სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციებს. კანონი არ ვრცელდება პირადი და ოჯახური მოხმარებისათვის განკუთვნილ სურსათზე.

კანონის შესაბამისად, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებად განისაზღვრა: რისკის ანალიზი; გაფრთხილების პრინციპი; გამჭვირვალობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

„პირველად, ქართულ საკანონ-

მდებლო სივრცეში, შემოვიდა რისკის ანალიზის ცნება და, ზოგადად, რისკის ანალიზზე დამყარებული მიდგომა, რაც ნიშნავს იმას, რომ სურსათის უვნებლობის სფეროში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და გატარებული ქმედება რისკის შეფასების შედეგებს უნდა ეფუძნებოდეს. აღიარებული იქნა ინტეგრირებული მიდგომა — „ფერმიდან მაგიდამდე“, რომლის მიხედვითაც აქცენტი გადადის საბოლოო პროდუქტის სერტიფიცირებიდან სურსათის წარმოების პროცესის კონტროლზე.

კანონის მიღებისას არსებობდა მოლოდინი, რომ რეფორმა ხელს შეუწყობდა სურსათის წარმოების განვითარებას, შექმნიდა რა სამართლიან და პროგრესირებად გარემოს და ქართულ პროდუქციას გაუადვილებდა საერთაშორისო ბაზარზე შეღწევას. გარდა ამისა, ახალი სისტემის ამოქმედებას უნდა შეემცირებინა სურსათის მიღებით გამოწვეული საფრთხეები და უფრო მრავალფეროვანი გაეხადა სურსათის არჩევანი ბაზარზე, თუმცა, კანონში შესული ცვლილებების შედეგად, სასურსათო ბიზნესის მონაწილეთა სახელმწიფო ინსპექტირების (22-ე და 23-ე) მუხლების მოქმედება 2010 წლის 1 იანვრამდე შეჩერდა. სახელმწიფოს მხოლოდ მონიტორინგის ფუნქცია დარჩა. კანონის 36¹ მუხლის თანახმად კი სახელმწიფო კონტროლი მხოლოდ მენარმის მოთხოვნის საფუძველზე ხდებოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ 2005 წლიდან საქართველოში არ არსებობდა სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა. პირველ ეტაპზე, 2010 წლის ივლისიდან, ინსპექტირების განხორციელება სავალდებულო გახდა ევროკავშირში ექსპორტიორი ბიზნეს-ოპერატორებისთვის.

2010 წელს საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნა საუწყებო შიდა ბაზრის რეგულირების სამსახური, რომელმაც შეიმუშავა „სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიზნობრივი პროგრამა“. მასში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიზანი, რომელიც სურსათის უვნებლობის სფეროს იურიდიულ და ინსტიტუ-

ციურ დახვეწას და საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვას მოიცავს.

2011 წლის 3 იანვრიდან ინსპექტირებასა და მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები სავალდებულო გახდა ყველა ბიზნეს-ოპერატორისთვის. დაიწყო სურსათის მწარმოებელ სანარმოთა რეგისტრაცია. დღეისათვის სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა 200-მდე სურსათის მწარმოებელ სანარმოში, მისი შედეგები ახლო მომავალში გახდება ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის.“ — აღნიშნა მოხსენების კითხვისას პროფესორმა ქეთევან ლაფერაშვილმა.

რატომ არის სურსათის უვნებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილება მნიშვნელოვანი სურსათის მწარმოებელი კომპანიებისათვის? — ამ კითხვებზე კომპეტენტური პასუხი გაცადა პროფესორმა ეთერ სარჯველაძემ მოხსენებაში, სადაც მან დანვრლებით ისაუბრა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ და ფართოდ აღიარებულ ენ. HACCP სისტემაზე (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა). ეს სისტემა არის მართვის ის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის უვნებელი სურსათის მიწოდებას. როგორც პროფესორმა სარჯველაძემ აღნიშნა: HACCP სისტემის ძირითადი კონცეფცია ეფუძნება პრევენციის პრინციპს. ამ სისტემით კონტროლდება ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეები და მათი წარმოებაში მოხვედრის გზები. სანამ კომპანია HACCP-ის სისტემის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, აუცილებელია, რომ იგი აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: სანარმოო შენობების ინტერიერის დაგეგმარებას, ტერიტორიის მოწყობას, თანამშრომლების სწავლებას, მანევრების კონტროლს, მომწოდებლის შეფასებას და სხვა. საქართველოში ამ სისტემის დანერგვით ხელს შეეწყობთ მეტი კონკურენტუნარიანი კომპანიის განვითარებას. ის, აგრეთვე, პოზიტიურად აისახება მომხმარებლის ჯანმრთელობისა

და უფლებების დაცვაზე. ამ სისტემის დანერგვით დაჩქარდება საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაცია.

„ბაზარზე მავნე სურსათის მოხვედრის შემთხვევაში ყველაფერი უნდა გაკეთდეს მოსალოდნელი ზიანის მინიმიზაციისთვის. პირველ რიგში, სახელმწიფო მოხელეებმა უნდა უზრუნველყონ მენარმეების მიერ კანონის დაცვა რეგულარული კონტროლისა და დარღვევებზე რეაგირების საშუალებით. აგრეთვე, მენარმე უნდა უზრუნველყოს მის მიერ მიწოდებული სურსათის უვნებლობა“, — აღნიშნა პროფესორმა ეთერ სარჯველაძემ.

სურსათის უვნებლობის და ხარისხის მართვის ეკონომიკურ ასპექტებზე ისაუბრა პროფესორმა დავით ნარმანიანმა: „სახელმწიფოში სამი ძირითადი კომპონენტი უნდა უზრუნველყოს. ეს არის: 1. სტანდარტების შემუშავება და დანერგვა; 2. ლაბორატორიების ეროვნული სისტემის უზრუნველყოფა, სადაც კერძო ლაბორატორიების გვერდით სახელმწიფო ლაბორატორიებიც უნდა იყოს და 3. სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფა (ინსპექტირება), რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს პრინციპზე — „ფერმიდან სუფრამდე“.

ამ სისტემის დანერგვას ქვეყანაში არ სჭირდება ისეთი დიდი დანახარჯების გაღება, როგორც ზოგიერთი სპეციალისტი წარმოგვიდგენს. სიმბოლურად, მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ სასწორს, რომლის ერთ პინაზე დევს მოსახლეობის ჯანმრთელობა, ხოლო მეორეზე - ბიზნესისათვის განეული ხარჯები. როგორც კი მე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვას ვინყავ, შემომამქვს დამატებითი რეგულაციები კონტროლის მექანიზმებით და ბიზნესს გარკვეულ პასუხისმგებლობას ვაკისრებ. ამ შემთხვევაში ბიზნესის ხარჯები იზრდება, რომელიც საბოლოოდ იწვევს პროდუქტზე ფასების ზრდასაც. თუ მინდა, რომ ბიზნესის ხარჯები ნაკლები იყოს, მაშინ, შესაბამისად, ნაკლებად ვზრუნავ მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც. არჩევანის გაკეთება - თუ რეგულირება უნდა გადაიხაროს სასწორის პინა, დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. თუ სახელმწიფოს მხრიდან არ იქნა პოლიტიკური ნება, რომ ქვეყანას სჭირდება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და, მათ შორის, ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სურსათის უსაფრთხოება, ისე ბიზნესი ამ საკითხს საკუთარ თავზე ვერ აიღებს“, — აღნიშნა პროფესორმა დავით ნარმანიანმა.

სემინარზე განხილული საკითხების გარშემო აქტიური დებატები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.



ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში

თამარ ლალიანი

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის აქტუალური პრობლემები იმსჯელებს და საკუთარი შეხედულებები გამოთქვას თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომლის თემა გახლდათ: „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში“.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი და მხარდამჭერი ორგანიზაციები: ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენციაზე გაიმართა პლენარული სხდომა და შემდეგ იგი 5 თემატურ სექციად დაიყო: ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ეკონომიკის, ბიზნესის პრობლემებისა და სექტორული ეკონომიკის სექციებად.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუსლან გრინბერგი; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე-პავლე მერსე სახელობის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი სლავომირ პარტიცი (პოლონეთი); ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლარისა ბელინსკაია (ლიტვა); ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი გინდრა კასნაუსკაინე (ლიტვა); უკრაინის საკრედიტო-საბანკო კავშირის მრჩეველი, პროფესორი გიორგი სიგუა; ასევე, მეცნიერები პოლონეთის, ბულგარეთის, უკრაინის, ყაზახეთის, რუსეთისა და ჩეხეთის სამეცნიერო წრეებიდან. კონფერენციას ესწრებოდა თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ლევდაშვილი და მისი მოადგილე თეა ნითლანაძე.



ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის თქმით, კონფერენციის მიზანი გახლდათ ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მდგარი იმ პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა, რომელიც გამომდინარეობს გლობალიზაციის, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის, წარმოებაში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებისა და სხვა მოთხოვნებიდან.

საკუთარად ეყო პლენარულ სხდომაზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რუსლან გრინბერგის გამოსვლა, რომელმაც რუსეთის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ რუსეთმა უნდა დაძლიოს „უფროსი ძმის კომპლექსი“ და შეიგნოს, რომ მეორე ქვეყანასთან საუბარი მხოლოდ თანასწორობის აღიარებით იქნება შესაძლებელი. მისი თქმით, ყველაზე კარგი პერსპექტივა ქვეყნებს შორის წარმატებული

ურთიერთობისა, ეკონომიკური თანამშრომლობაა. „მთავარია ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ, როგორც თანასწორუფლებიანმა ქვეყნებმა და ეკონომიკური პრობლემები საერთო ძალისხმევით გადაწყვიტოთ“, — აღნიშნა რუსლან გრინბერგმა.

გლობალიზაციის პირობებში რუსეთის ეკონომიკის განვითარების თავისებურებებსა და შუქ-ჩრდილებზე ისაუბრა პროფესორმა დიმიტრი სოროკინმა, რომელმაც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებზე რუსული ეკონომიკის გავლენა მიმოიხილა.

ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე თავის მოხსენებაში შეეხო მაღალი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვის, ინფორმაციული და ქსელური ტექნოლოგიების გამოყენების შედეგებს. „თანამედროვე ეტაპზე განვითარებულ ქვეყნებში საქმე გვაქვს სრულიად ახალ მოვლენასთან — „მოაზროვნე ტექნოსფერო“ ფორმირებასთან, რომელიც ახალი ეკონომიკური წყობის ჩამოყალიბებას განაპირობებს. საქართველოში ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს გარკვეული უპირატესობანი: ქვეყნის მასშტაბები პატარაა და ამიტომ მისი გაჯერება მაღალი ტექნოლოგიებით შედარებით მცირე დროშია შესაძლებელი“.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

თამარ ლალიანი

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეფექტური მუშაობის კიდევ ერთი ნიშანდამტკიცება გახლდათ II საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“, რომლის დასკვნითი ეტაპიც 16 დეკემბერს გაიმართა. კონფერენცია მოეწყო ფაკულტეტის „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის“ (ხელმძღვანელი — ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი იოსებ მასურაშვილი), სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურისა და სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების ორგანიზებით.

კონფერენცია მიზნად ისახავდა სტუდენტების ჩართვას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის კვლევაში და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენასა და ნახალისებას.

კონფერენციაზე წარმოდგენილი სტუდენტური მოხსენებების ხარისხი ნათლად მეტყველებდა სტუდენტების კომპეტენტურ

ცოდნასა და პრობლემების არსის წვდომის სიღრმეზე.

სტუდენტებისთვის შეირჩა საინტერესო და აქტუალური თემატიკა, კერძოდ: სოფლის მეურნეობა, ბიზნეს-გარემოს ანალიზი, ინფრასტრუქტურა, მრეწველობა, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, მედია მენეჯმენტი.

კონფერენციის დასკვნით ეტაპზე მონაწილეობდა თსუ-ის 18 სტუდენტი, მათ შორის, საინტერესო მოხსენებები წარმოიტანეს მაგისტრანტებმა ანა გვალამ და გვანცა გვამაბაძე თემაზე — „ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელსაყრელი გარემო პირობები საქართველოში“ (ხელმძღვანელი: იოსებ მასურაშვილი), ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტმა მანუჩარ მასურაშვილმა თემაზე — „მოტივაციის აქტუალობა თანამედროვე ორგანიზაციების წარმატებაში“ (ხელმძღვანელი: თამარ ათანელიძე), ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტმა მარიამ ჯიბუტმა თემაზე — „ფრენჩაიზინგი ბიზნესის მენეჯმენტი“ (ხელმძღვანელი:

ლეილა ქადაგიშვილი), ბაკალავრიატის სტუდენტებმა ანა გორგოძემ და ანა ბურდულმა თემაზე — „სიღარიბე XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში“ (ხელმძღვანელი: სიმონ გელაშვილი), დოქტორანტმა ირაკლი მაკალათიამ თემაზე — „მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტრუქტურა საქართველოში“ (ხელმძღვანელი: ბიკენტი გაბიძაშვილი), ბაკალავრიატის სტუდენტმა გიორგი მორჩილაძემ თემაზე — „აგარული სექტორი და მისი განვითარების პოლიტიკა საქართველოში“ (ხელმძღვანელი: გულნაზ ერქომაიშვილი) და სხვებმა.

კონფერენციის მსვლელობამ აჩვენა, რომ რეალურად იზრდება სტუდენტთა დაინტერესება ეკონომიკის სხვადასხვა დარგების პრობლემების შესწავლისა და ახალი მეთოდების ათვისების თვალსაზრისით.

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებს დადებითად აფასებს „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის“ ხელმძღვანელი იოსებ მასურაშვილი: „რამდენადაც საქართველო ევროინტეგრაციის გზას მტკიცედ დადგა, ამდენად ევროპული ღირებულებების გაზიარება ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეშიც აუცილებელია. ბოლონის დეკლარაციის დებულებათა შესაბამისად, მეცნიერულ კვლევებში სტუდენტთა ჩართვა ადრეული ასაკიდანვე უნდა მოხდეს. ამის გათვალისწინებით, ფაკულტეტზე წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს სტუდენტებთან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომლის უშუალო ორგანიზატორებად ყოველთვის გვევლინება ფაკულტეტის „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი“ და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ ევროინტეგრაციის პროცესს და ბოლონის დეკლარაციის დებულებების

ლი; საქართველოს დიდ დახმარებას უწევენ განვითარებული ქვეყნები; ბოლო პერიოდში ქვეყნის ინსტიტუტებში მომხდარი დადებითი ცვლილებები იძლევა შესაძლებლობას, რომ მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა დაჩქარდეს,“ — აღნიშნა რამაზ აბესაძემ.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტური ასპექტების შესახებ წაიკითხა მოხსენება თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ბერულავამ, რომელმაც ეკონომიკის ტრანსფორმირების პროცესი გააანალიზა.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობისა და დაძლევის თეორიული საფუძვლების შესახებ ისაუბრა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალფრედ კურატაშვილმა, რომელმაც საკუთარი ორიგინალური მოსაზრებები წარმოადგინა.

კონკურენციის შეზღუდვის მაკროეკონომიკური შედეგები მიმოიხილა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა ნოდარ ხაღურმა.

ეკონომიკური და ტექნოლოგიური სისტემების ურთიერთკავშირზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვახტანგ ბურდულმა.

კონფერენციაზე, ასევე, საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს უცხოელმა მეცნიერებმა: სლავომირ პარტიციკი (პოლონეთი), ლარისა ბელინსკაია და გინდრა კასნაუსკაინე, ასევე უკრაინის საკრედიტო-საბანკო კავშირის მრჩეველმა, პროფესორმა გიორგი სიგუამ.

კონფერენციის მსვლელობის დროს გაიმართა კულტურული ღონისძიებები.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კონფერენცია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ ეკონომიკის ინსტიტუტის, არამედ მთელი უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობენ საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების განვითარებასა და მეგობრული ურთიერთობების გაძლიერებას ხალხთა შორის.



გათვალისწინებით სტუდენტებს მაქსიმალურად ვეხმარებით — გამოავლინონ კვლევების წარმოებისთვის საჭირო უნარი“.

II საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის დასკვნითი ეტაპი წარმატებით დასრულდა. კონფერენციის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ მომავალ წელს კონფერენცია უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს და სტუდენტები არა მარტო თეორიული საკითხების ცოდნით შემოიფარგლებიან, არამედ საკვლევ ობიექტებზეც გაველინდნენ, დარგის ექსპერტებს შეხვდებიან და კვლევის შედეგების ანალიზის წარმოჩენის კარგ უნარ-ჩვევებსაც შეიძენენ.



როგორ მეტყველებენ სტუდენტები?

ნათო მობლაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებმა ქართულ ენას არითმიის დიაგნოზი დაუსვეს. დაავადების გამომწვევ მიზეზად კი ახალგაზრდების, მომავალი თაობის მშობლიური ენის არასაკმარისი ცოდნა და არასწორი, ხშირ შემთხვევაში კი, ფარგონებით მეტყველება დაასახელეს. ქართული ენის დამახინჯების ამსახველი „მარგალიტიზმი“ განსაკუთრებით მრავლად მოიპოვება ქართულ ინტერნეტ-სივრცეში — პოპულარულ სოციალურ ქსელში www.facebook.com-ზე, ფორუმებზე... პირად საუბრებში თუ სხვადასხვა ღონისძიებებზეც ხშირად მოისმენთ ფარგონებით გამდიდრებულ, გაუმართავ ნივთებს. მაგალითად: „ცხოვრებაში პირველად გთხოვთ დალაიკოთ, ნახევარი თბილისი მყვან დალაიკებული“; „დამიშვიარე რა...“ „მადლობა თსუ, ვიცოდი, რომ პირობას ასარულელებდი“; „ამ სემესტრში სულ V-VIII-ში გვაქვს ლექციები და იმედია, სულ ბოლო სემესტრს მაინც გვალისებენ რო ვისწავლოთ მანდ, ყველას ძალიან გვინდა I კორპუსი“; „ძაან ლადობაა, ხალხი რეებს იგონებს ტო“; „დღეს გადავარჩიე ჩემი ნივთები და ძალიან ბევრი გადაამერჩია“; „ვაფშე ყველა გეოგრაფის ლექცია და პრაქტიკული გამოცდა, მაგრამ მიტყდება“ და ა.შ.

სწორი ქართული ენით მეტყველების პრობლემა რომ მწვავედ დგას, ამას ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრის მსახიობი იური ფოფხაძეც ადასტურებს, რომელიც, ამავე დროს, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მეტყველების კულტურის ლექციებს კითხულობს.

„დღევანდელი ახალგაზრდის პრობლემა არის სიჩქარე. თითქმის ყველა სწრაფად მეტყველებს და არა იმ კრიტერიუმებით, რასაც ლიტერატურული, სწორი ქართული მეტყველება ჰქვია. ყველა ხმოვანს და თანხმოვანს აქვს თავისი წარმოშობის ადგილი და თუკი რომელიმე მათგანი ან ჩაიყლაპა, ან არასწორად გამოითქვა, მეტყველება ირღვევა და ჩნდება არითმია. ჩვენმა ახალგაზრდებმა არ იციან — ნერტილი როგორ დასვან საუბრისას, ანუ აზრი როგორ დაასრულონ; არ იციან, რომ კითხვის დასმისას კითხვითი ინტონაცია უნდა გაკეთდეს იქ, სადაც არის კითხვითი სიტყვა. უწინააღმდეგობის უმრავლესობა კი საუბრისას მახვილს სვამს სიტყვის ბოლოში, როცა ქართულ მეტყველებაში

მახვილი სიტყვის თავში მოდის. მე თსუ-ში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უწინააღმდეგობის მიმართულების სტუდენტებს ვასწავლი მეტყველების კულტურას. ჯგუფში 24 ახალგაზრდაა, კვირაში ორი ლექციაა. ეს დრო კი ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ შედეგოვანი სტუდენტს დაეხმაროს თუნდაც რბილი „ლ“-ს გამოხატვაში. განსაკუთრებული პრობლემაა ვიბრანტი თანხმოვნის — „რ“-ს გამოთქმა. ბევრი ახალგაზრდა თითქმის ამ ბგერას არ ხმარობს, მაგალითად: სიტყვის „რატომ“ ნაცვლად ამბობს — „ატომ“.

საბედნიეროდ, ბოლო დროს ძალიან ბევრი მშობელი მომმართავს თხოვნით, რომ მათმა შვილებმა სწორი მეტყველება ისწავლონ. ამ მიზნით ჩემთან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდანაც მოდიან, ძირითადად, ახალგაზრდა ლექტორები“, — განაცხადა იური ფოფხაძემ. მისი თქმით, აუცილებელია, უნივერსიტეტში უწინააღმდეგობის მიმართულებაზე მეტყველება არჩევითი კი არა, მთელი 4 წლის მანძილზე სავალდებულო საგანი იყოს, რადგან სწორი ქართული მეტყველების სწავლას დრო სჭირდება“, — აღნიშნა იური ფოფხაძემ.



იური ფოფხაძე

რა არის თანამედროვე ახალგაზრდების და სტუდენტების დიდი ნაწილის დამახინჯებული მეტყველების მიზეზი? რატომ არ აქვთ მათ სურვილი, რომ მშობლიურ ენაზე გამართულად ისაუბრონ? — ამ კითხვებზე პასუხი ფსიქოლოგმა ია აფთარაშვილმა გაგვცა, რომელიც აღნიშნულ სფეროში უკვე დიდი ხანია მუშაობს.

„ახალგაზრდების დიდი ნაწილის მეტყველება ნამდვილად განსხვავებულია მოზრდილების მეტყველებისგან, უფრო მეტიც, თავად საყოფაცხოვრებო ენა ყოველთვის განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან. ასევე, ერთი ეპოქის საყოფაცხოვრებო ენა, თავის მხრივ, განსხვავდება მეორე ეპოქის საყოფაცხოვრებო ენისგან. ეს ბუნებრივი და კანონზომიერია, მაგრამ ენის დანაგვიანება კიდევ სხვა ფენომენია. მოზარდებში დამახინჯებული მეტყველების გამომწვევი მიზეზები ბევრია. ერთერთი მიზეზი თუნდაც ისაა, რომ ხშირად სოციალურ ნაბალებზე არის ახალი სიტყვების გამოგონება (მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ მოვისმინე ისეთი სიტყვა, როგორცაა „დავშატაუნდი“), რომელიც რატომღაც შემოქმედებითადაა აღიქმება და ინდივიდის თვითგამოხატვას ემსახურება. ხშირია, ასევე, შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდები ქართულ სიტყვებს შეგნებულად უცხო ენისთვის დამახასიათებელი ინტონაციით წარმოთქვამენ. ეს, მათი აზრით, მათ უნიკალობას უსვამს ხაზს. ეს, ერთი მხრივ, ასაკობრივი თავისებურების პრობლემაა და, მეორე მხრივ, სოციალური მენტალიტეტის. სწორედ ამ მენტალიტეტის და ენობრივი ცნობიერების შეცვლაზე უნდა იმუშაოს მშობლებმაც და პედაგოგმაც“, — განაცხადა ია აფთარაშვილმა.

რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა უკეთ გაიაზრონ მშობლიურ ენაზე სწორად საუბრის მნიშვნელობა ან როგორ გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი და დახვეწონ მეტყველება? რა საგნები არსებობს მეტყველების კულტურის დასაუფლებლად თსუ-ში, სადაც დაახლოებით 22 000 სტუდენტი სწავლობს? — ამ კითხვებით თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს მერი ნიკოლაიშვილს მივმართეთ. მისი აზრით, სწორი ქართული მეტყველებაზე მუშაობის დაწყება ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან არის აუცილებელი, რაც უმაღლეს სასწავლებელშიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

„ყველა სტუდენტს არ ვგულისხმობ, მაგრამ უმრავლესობას ძალიან ღირსი ლექსიკური მარაგი აქვს. თანდათან მივიღვართ იქამდე, რომ ჩვენი ენა ღარიბდება და დარჩება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ლექსიკა. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას წიგნი არ უყვარს. წიგნის მიმართ სიყვარული კი ბავშვობიდანვე უნდა ჩაუნერგოს მშობლებმა, სკოლაში კი — პედაგოგმა.“



მერი ნიკოლაიშვილი

თსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე იკითხება საგანი „წერისა და მეტყველების კულტურა“, რომელსაც ადრე ქართული ენის კათედრა ყველა ფაკულტეტზე ასწავლიდა. ახლა დანარჩენ 5 ფაკულტეტზე ამ საგნის ნაცვლად ისწავლება „კადემიური წერა“, რაც სრულიად განსხვავებულია, თუმცა აუცილებელია. „წერისა და მეტყველების კულტურა“ მოიცავს გრამატიკულ მასალას, ენის სტრუქტურისა და ლექსიკური ფონდის გამდიდრების საკითხებს და სამწუხაროა, რომ ეს საგანი ახლა მხოლოდ ქართული ენის პროგრამაში შედის. ასევე, ჩვენთან იკითხება „ქართული ლექსიკოლოგია“. მიმართა, რომ ეს საგნები თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აუცილებლად უნდა ისწავლოს ყველა სპეციალობის სტუდენტებმა“, — აღნიშნა მერი ნიკოლაიშვილი.

მშობლურ ენაზე სწორად მეტყველების მაგალითები ქართველებს უხვად მოგვეპოვება, თუნდაც, გურამ სალარაძის, ზინა კვერენჩილაძის, სერგო ზაქარაძის ჩანაწერების სახით. როგორც იური ფოფხაძე ამბობს, „მათი სიტყვა ქმედითი, სახიერი და ხატოვანია, რადგან მეტყველებდნენ სუფთად, ჰქონდათ კარგი ლოგიკა და კითხვის დინამიკა“. იგი ახალგაზრდებს ურჩევს იკითხოონ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“, რადგან პოემას, უდიდესი შინაარსობრივი ღირებულების გარდა, მეტყველების გაუმჯობესების მხრივაც დიდი დატვირთვა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ მშობლიურ ენაზე სწორი მეტყველება ადამიანის იდენტობის ერთერთი განმსაზღვრელი კომპონენტია, რადგან, ალბათ, გაგიგონიათ — „თვალი ჭამს და თვალი სვამს, ყური დესერტს აყოლებს“.

კონკურსი

გამოვლენილი ორატორები

ნათო მობლაძე

იყო პროფესიონალი ოურისტი, ნიშნავს კარგად ფლობდა ოურისპრუდენციას, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია გქონდეს ორატორული უნარ-ჩვევებიც. როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები აცხადებენ, მათ საკუთარი ცოდნის შემონახვა, ძირითადად, წერიტი გამოცდების საშუალებით უნევთ და ნაკლები ყურადღება ექცევა ზეპირმეტყველებას. ამ შემთხვევაში გამოსავალი თავად სტუდენტებმა მოძებნეს. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ რამდენიმე წლის წინ დააფუძნებული „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის“ ორგანიზებით თსუ-ში კონკურსი — „ორატორი“ ჩატარდა. ღონისძიების თანაორ-

განიზატორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა გახლდათ. კონკურსში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეეძლოთ და იგი ორ ეტაპს მოიცავდა. პირველი ტურის შედეგად ორგანიზატორებმა 25 სტუდენტიდან 7 საუკეთესო შეარჩიეს, რომელთაც ფინალურ ნაწილში კონსტიტუციური სამართლიდან კონკრეტული პრობლემაური საკითხების შესახებ უნდა ემსჯელათ. სტუდენტების გამოსვლები ორი კრიტერიუმის მიხედვით ფასდებოდა — თემის ცოდნა და მსჯელობის უნარი. გამარჯვებულები სპეციალურად შერჩეულმა ჟიურმა — თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა გიორგი კახიამა და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა ნინო კაკულიამ გამოავლინა.



თეონა გონაშვილი

„ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმში აქვს გაფორმებული. შესაბამისად, როგორც თორნიკე ჭეიშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, კონკურსში — „ორატორი“ მონაწილეობის მიღება სტუდენტებს სტიპენდიის მიღებისთვის აუცილებელი ეტაპების გავლაშიც დაეხმარება. ასოციაციის ხელმძღვანელობა კონკურსის ჩატარებას მომავალშიც გეგმავს. ამჯერად, მასში ჩართვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებს შეეძლებათ. მსჯელობის თემატიკაც მათი პროფესიების მიხედვით იქნება შერჩეული. არ არის გამორიცხული, რომ კონკურსის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზარდოს და მასში სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმაც მიიღონ მონაწილეობა.“



ქურნალი „თსუ მეცნიერება“ წელიწადში ორჯერ გამოვა

ნათო მობლაძე

თსუ-ში პირველი სამეცნიერო-პოპულარული ქურნალი — „თსუ მეცნიერება“ პრეზენტაცია გაიმართა. ქურნალი ორენოვანია. მასში ქართულ და ინგლისურ ენებზე მკითხველი გაეცნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-2011 წლებში მიმდინარე საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევებს. ქურნალის პირველ ნომერში საუბარია ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილ მზის ენერჯის ახალი ტიპის კონცენტრატორზე, რომელიც მსოფლიო ბანკის ფორუმებზე 2011 წელს 750 საერთაშორისო პროექტიდან საუკეთესო ოცეულში შევიდა; საწარმოო ნარჩენებისა და მეორადი ნედლეულის გადამუშავების მეთოდებზე, რომელმაც ინტერესი საერთაშორისო სამეცნიერო არენაზეც მოიპოვა; ქართველ მეცნიერთა წვლილზე CERN-ში (ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია) მიმდინარე კვლევებში, ასევე, ქართული ლენის უნიკალურ თვისებებზე. ქურნალის პირველ ნომერში მოთხრობილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სიუჟეტური ნაწარმი, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში გამოყენებით ინგლისში, შექსპირის თეატრში. ამავე დროს, საუბარია ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ გრაკლიან გორაზე, სვანეთში, კახეთში — ფშანში; მედიაციის პირველ გამოცდილებაზე საქართველოში; იმაზეც, თუ როგორ განსაზღვრავს საკუთარ ნაციონალურ-ეთნიკურ იდენტობას საქართველოში მცხოვრები ერე-

ბის წარმომადგენლები; რა ტიპის ეთნო-ტერორისტული საფრთხეები ემუქრება ქვეყანას და რა უნდა ეცოდნოდნენ მისი ახლო აღმოსავლეთის შესახებ; გამოქვეყნებულია სტატია პოსტ-საბჭოთა სივრცეში პირველ კვლევაზე თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ეპიდემიოლოგიასთან დაკავშირებით, რომელსაც თსუ-ის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი ახორციელებს. ქურნალიდან ასევე გაიგებთ პასუხს, თუ რატომ არ მოხდა შიდსის ვირუსის ეპიდემიოლოგიური აფეთქება და რა ტიპის შიდსის ვირუსია გავრცელებული საქართველოში; გაეცნობთ ეკონომიკური კვლევების სიახლეებსაც და ა.შ.

ქურნალის გამოცემის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ეკუთვნის. მისი რედაქტორია თამარ ხორბალაძე. გამოცემის სარედაქციო საბჭოში კი თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანი, რექტორის მოადგილე ლევან ალექსიძე, ექვემდებარებული დეკანები და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნანა მაგალიშვილი შედიან. ქურნალის პირველი ნომრისთვის თემები ყველა მათგანთან კონსულტაციის შედეგად შეირჩა.

„ქურნალი „თსუ მეცნიერება“ — ეს არის სამეცნიერო-პოპულარული ქურნალი, რაც ნიშნავს, რომ სტატიები ფართო საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზეა დაწერილი. ამ ქურნალის მიზანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შესახებ ინფორმაცია არ იყოს ჩაკეტილი ვიწრო სამეცნიერო წრეში და საზოგადოებისთვისაც გახდეს ცნობილი. ქურნალი გამოვევით ორ ენაზე, რათა მისი გაცნობის შესაძლებლობა უცხოელებსაც ჰქონდეთ. გვინდა ვაჩვენოთ მათ, რომ თსუ არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიც არის; რომ აბსოლუტურად ყველა სამეცნიერო სკოლას, რომელიც საქართველოშია შექმნილი, საფუძველი თსუ-ში ჩაეყარა და ამ ფუნქციას პირველი ქართული უნივერსიტეტი დღესაც ინარჩუნებს. პირველი ნომრისათვის ყველა ფაკულტეტიდან სამი სამეცნიერო თემა შეირჩა, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ დღეს სამეცნიერო კვლევების რაოდენობა გაცილებით მეტია უნივერსიტეტში. ქურნალის სარედაქციო საბჭოში შედის როგორც სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების



დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასევე, ყველა ფაკულტეტის დეკანი და სწორედ მათთან კონსულტაციით გადავწყვიტეთ — რა თემები შესულიყო პირველ ნომერში. ამ ეტაპზე „თსუ მეცნიერების“ ტირაჟი 3000-ია და თუ აღმოჩნდება, რომ მოთხოვნა დიდია, მისი რაოდენობა გაიზრდება. ქურნალი დარიგდება ყველა სამეცნიერო ცენტრში, თბილისში არსებულ ყველა ბიბლიოთეკაში და საჩუქრად გადაეცემა ყველა უცხოელ სტუ-

მარს. მისი წაკითხვის შემდეგ ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ პირველ პატარა განმარტებას მიიღებენ. ქურნალმა უკვე დაიმსახურა მკითხველის მოწონება, თუმცა ვფიქრობ, რომ მეორე ნომერი გაცილებით უკეთესი გამოვა. როდესაც ქალაქზე ნახულობ ნამუშევარს, უკეთესად ხვდები — რა არის გასაუმჯობესებელი“, — აღნიშნა ქურნალის რედაქტორმა თამარ ხორბალაძემ. „თსუ მეცნიერების“ პრეზენტა-

ცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 23 იანვარს გაიმართა და მას საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლების გარდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და პარლამენტის წევრებიც ესწრებოდნენ.

დიმიტრი შაშკინმა გამოთქვა ინიციატივა, რომ მომზადდეს ქურნალის სპეციალური ნომერი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში დარიგდება. შესაბამისად, ეს ნაბიჯი თსუ-ის პოპულარიზაციასაც გაზრდის და მომავალ სტუდენტებსაც დაეხმარება, რომ უმაღლესი სასწავლებელი და პროფესია უფრო გააზრებულად შეარჩიონ.

ქურნალის მიზანია და დანიშნულებას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანი მკითხველს ასე განუმარტავს: „დღეს უნივერსიტეტის ახალი გამოცემების წინაშე დგას — ტრადიციის შენარჩუნებასთან ერთად, უნდა გაუძლოს XXI საუკუნის მოთხოვნებს, იყოს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზარზე. აქ კი სამეცნიერო პროდუქტის ხარისხს განსაზღვრავს არა მხოლოდ მკვლევარის ნიჭი და შესაძლებლობები, არამედ ბევრი სხვა ფაქტორიც. დამკვიდრებული სტრუქტურების თანახმად, ახალი სტანდარტები საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებს სამეცნიერო წარმატებების მიღმა ტოვებს. თუმცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო პროცესები ამ სტრუქტურას ამსხვრევს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა იცოდეს მათ შესახებ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ახალი წამოწყება — ორენოვანი სამეცნიერო-პოპულარული ქურნალი „თსუ მეცნიერება“.

ქურნალი „თსუ მეცნიერება“ წელიწადში ორჯერ გამოვა და მასში საქართველოში, კერძოდ, თსუ-ში მიმდინარე იმ უახლესი სამეცნიერო კვლევების შესახებ იქნება საუბარი, რომელთაც უკვე მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება, მიღებული აქვთ სამეცნიერო გრანტები და რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოქვეყნებულია მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ქურნალებში.



თამარ ხორბალაძე

მეცნიერული ნათლობა ქურნალ „მერმისში“

თამარ დადიანი

მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი სამეცნიერო ქურნალების დაარსებას. ამ მხრივ, ყველაზე მეტად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აქტიურობს, რომელიც დიდი წარმატებით გამოსცემს სამეცნიერო ქურნალებს, კერძოდ: რეცენზირებად ელექტრონულ ქურნალს — „სპეკალი“, „წელიწადული“ და სხვ. სულ ახლახან კი დაარსდა ამავე ფაკულტეტის სტუდენტთა ახალი ელექტრონული სამეცნიერო ქურნალი — „მერმისი — სტუდენტური წელიწადული“.

ქურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტების ჰუმანიტარული მეცნიერებებით დაინტერესებას და მათი სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციას. ქურნალი

წელიწადში ერთხელ გამოვა. მასში წარმოდგენილი იქნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა დარგი.

ქურნალში დაბეჭდება სტუდენტთა (ბაკალავრთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა) სამეცნიერო გამოკვლევები, სავლელ ექსპედიციებისა და პრაქტიკის ანგარიშები, გაშუქდება სტუდენტური სამეცნიერო ღონისძიებები, ასევე, რეცენზიები და ინფორმაციები სტუდენტური სამეცნიერო ცხოვრების შესახებ. აქვე განთავსდება არაჰუმანიტარ სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომებიც.

როგორც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა: ქურნალს ეყვლილება სამეცნიერო საბჭო და თითოეულ ნომერს — თავისი რედაქტორი. „როგორც

მოგეხსენებათ, ქართველოლოგია, ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვა ჰუმანიტარული დარგები კარგად წარმოაჩენენ როგორც ეროვნული, ასევე, მსოფლიო ისტორიის, ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურის ინტეგრაციულ პროცესებს. ეს მიმართულებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰუმანიტარული აზროვნების ისტორიაში. ამ დარგების განვითარებას, მეცნიერულთან ერთად, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია — სტუდენტები დავაინტერესოთ ჰუმანიტარული მეცნიერებით; გაეზარდოს ისეთი მკვლევარები, რომლებიც მომავალში შეძლებენ ღირსეულად წარმოაჩინონ და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას გააცნონ ჩვენი ქვეყნის ისტორია და კულტურის განუმეორებელი მხატვრულ-ესთეტიკური



ნანა გაფრინდაშვილი

სამყარო; ერთი მხრივ, მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში გამოიკვლიონ ჩვენი ეროვნული კულტურის როლი და ადგილი და, მეორე მხრივ, მოახერხონ

მისი ინტეგრაცია საერთაშორისო მასშტაბით. „მერმისში“ სამეცნიერო სტატიის დაბეჭდვა ერთგვარი მეცნიერული ნათლობა იქნება მათთვის.

მიგვაჩნია, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ამ ტიპის ქურნალის დაარსება ხელს შეუწყობს ჰუმანიტარული მეცნიერებების ზემოთ აღნიშნული დარგების შემდგომ განვითარებასა და აღმავლობას; ქართული სამეცნიერო წრეებისათვის თსუ-ის სტუდენტური სამეცნიერო მიღწევების გაცნობასა და პოპულარიზაციას, — აღნიშნა ნანა გაფრინდაშვილმა.

ქურნალ „მერმისი — სტუდენტური წელიწადული“-ს სარედაქციო საბჭოში პირველი ნომრისთვის მასალების მიღება უკვე გამოაცხადდა. მსურველმა განაცხადი 2012 წლის 30 მარტამდე უნდა წარმოადგინოს ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე: nana.gafriadashvili@tsu.ge



ჭეშმარიტების ურჩი მაქიაჟელი

წერდი, ნიშნავს — გკონდეს სათქმელი, რომელიც გინდა, საზოგადოების ყურამდე მიიტანო... ამბობენ, საქართველოში ყველა მეორე მწერალი ან პოეტი, მაგრამ ამ სტატუსის დამსახურება არც ისე მარტივი ვახლავთ, თუმცა, შეუძლებელი არაფერია... ყველაფერი დამოკიდებულია ქართველ მკითხველზე, რომელიც თანამედროვე პოეზიისა თუ მწერლობის მიმართ საკმაოდ კრიტიკული მიდგომით გამოირჩევა და ამ სფეროში გამოჩენილ ახალ სახეებსაც დიდი ინტერესით ეკიდება. თამარ ლომთაძის შემოქმედებითი ნიაღვრეებიც ერთგვარი სიახლეა, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ დამწყების ნაბიჯებია...

ნატო ოზოლაძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი უკვე რამდენიმე წელია, რაც მოთხრობებს, ესეებსა და ლექსებს წერს და მკითხველთა გარკვეული წრის მონონებაც დაიმსახურა, თუმცა მისი შემოქმედება, ჯერჯერობით, არსად არ დაბეჭდილია.

თამარ ლომთაძის შემოქმედებაში, ძირითადად, რელიგიისა და სიყვარულის თემატიკა მძლავრობს, თუმცა, მის ნაწარმოებში შეხვედებით თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ პრობლემებსაც. «ყველამ კარგად ვიცით, რომ ცხოვრება ბრძოლაა, უფრო მეტიც, ჭადრაკის დაფაა და თუ ამ დაფაზე მუდმივად პაიკის როლი გაქვს და ვერ ახერხებ გახდეს მეფე ან დედოფალი, მაშინ, ცხადია, სასურველი მიზნის მიღწევაში რალაც გიშლის ხელს და მთავარი იარაღი გაკლია. თუ უკმაყოფილო ხარ საკუთარი თავით, მაგრამ თავდაჯერებული, მაშინ შეძლებ, როდესაც მაინც გახდეს მეფე ან დედოფალი და ნათელ ფერებში, და არა ირეალური, ვარდისფერი სათვალის დაინახო და შეიგრძნო სამყარო და მასში მიმდინარე ცხოვრებისეუ-

ლი მოვლენები», — ასე ჭიდაობს ფრაზებთან პატარა შემოქმედი და ცდილობს სძლიოს „პაიკის“ კომპლექსს, რათა იპოვოს გზა — ტახტზე ასასვლელი...

თამარ ლომთაძის შემოქმედებაში მკითხველი ადვილად შეძლებს დაინახოს ავტორის პიროვნებაც, გაიგოს როგორია მისი ცხოვრების სტილი, დამოკიდებულება ადამიანებისა და, ზოგადად, სიყვარულის მიმართ. «როგორ შეძლებს შეყვარებული ადამიანი, თუ არ იცის, რა არის ჭეშმარიტი და უმნიშვნელო სიყვარული? როგორ გეყვარება ფიქრი, თუ დაუფიქრებლად მოქმედებ და მხოლოდ ცხოვრების დინებას მიყვები: ამყოს აყვები, დამყოს დაყვები და ფონს ისე გადიხარ», — წერს თამარ და თავისი ფიქრებით საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებზე პასუხების გაცემას ცდილობს, რაც ხან თითქოსდა გამოსდის, ხან კი ერთ წრეზე ბრუნავს ჭეშმარიტების ურჩი მაქიაჟელის მსგავსად...

«მკითხველამდე მივინახე თანაობა, რაც არ მომწონს დღევანდელ ახალგაზრდებში. მაგალითად, მათი უმრავლესობის დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ... ჩემს ნაწარმოებში, ასევე, დიდი ადგილი უჭირავს სარწმუნოებას, ცოდვების თემატიკას. არ ვარ ისეთი

ადამიანი, რომელიც თავის ემოციებს გამოხატავს, ამიტომ, მინდა, ჩემი სათქმელი მოთხრობების, ესეებისა და ლექსების საშუალებით გამოვხატო», — გვითხრა თამარ ლომთაძემ.

ახალგაზრდა შემოქმედმა რამდენიმე ლიტერატურულ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა, ჯერჯერობით, არ გაუმარჯვია. ამბობს, რომ მებრძოლი ბუნებისაა, განცდილი მარცხი მისთვის ყოველთვის სტიმულის მიმცემია და უფრო მეტის გაკეთების სურვილი უმძაფრდება. მისი ეს თვისება ესეში «დაუკმაყოფილებლობის გენი» კარგად ჩანს: «როცა პატარა ვიყავი, ყოველთვის იმის განცდა მქონდა, რომ იმაზე ცოტას ვაკეთებდი, ვიდრე უნდა მეკეთებინა და უკმაყოფილო ვიყავი საკუთარი თავის. არსებულთან შეუგუებლობა და დაუკმაყოფილებლობის გენის არსებობა ხშირად აწუხებს მოუსვენარ ადამიანს (მეც მოუსვენარი ვარ), თითქმის ყოველთვის, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე».

თამარ ლომთაძემ მოთხრობებისა და ლექსების წერა X კლასიდან დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი მეორე პროფესიაა. ახალგაზრდა შემოქმედი ჯერ მსახიობობას აპირებდა, თუმცა საბოლოოდ არჩევანი იურისპრუდენციის შესწავლაზე შეაჩერა. ფიქრობს, რომ ამ გზით საზოგადოებისთვის უფრო მეტი სარგებლის მოტანას შეძლებს. ამ ეტაპზეც მისი შემოქმედების შემფასებლები, ძირითადად, მისი თანატოლი და ზოგიც უფროსი კოლეგაა.

«საჯარო სკოლა ტყი-ბულში დავამთავრე და სანამ პროფესიას ავირჩევდი, დიდხანს ვიფიქრე. საერთოდ მიყვარს სიკეთის გაკე-



თება. მისარია, როცა ადამიანებს ვეხმარები. მიმაჩნია, რომ ქართულ საზოგადოებაში ძალიან დაბალი სამართლებრივი შეგნებაა და გადაწყვეტი, ჩემი წვლილი შევიტანო ამის გამოსწორებაში. ბოლომდე მინდა მივყვე ამ სფეროს. რაც შეეხება ჩემს ნაწარმოებს, ყოველთვის ყურადღებით ვისმენ ჯანსაღ კრიტიკას. ვაფასებ და ვითვალისწინებ უფროსი ადამიანების რჩევებს. ახლა ერთერთ სასამართლოში გავდივარ პრაქტიკებს, სადაც გამოცდილ იურისტებს ვაკითხებ ჩემს ლექსებს, მოთხრობებს თუ ესეებს.

მათი შეფასება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია», — განაცხადა თამარ ლომთაძემ.

ახალგაზრდა ავტორი ფიქრობს, რომ ახლო მომავალში საკუთარი კრებულის გამოცემასაც შეძლებს. განსხვავებით იმ უიმედო განწყობისგან, რის გამოც რამდენიმე წლის წინ მან საკუთარი მოთხრობები და ლექსები გაანადგურა, ახლა თამარ ლომთაძე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ადგილის დამკვიდრებას დიდი შემართებით ცდილობს.

სტუდენტურ ფოტო-კონკურსში გამარჯვებულნი



ნატო ოზოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში ფოტო-კლუბი ჩამოყალიბდა, რომელიც თვეში ერთხელ ფოტო-კონკურსებს გაუწევს ორგანიზებას. კონკურსებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმ სტუდენტებს შეეძლებათ, რომლებიც ამ კლუბის წევრები არიან. მათ საკონკურსო ფოტოების გადაღება იმ თემაზე მოუწევთ, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელობა შესთავაზებს. გამოვლინდება ორი გამარჯვებული — აქედან ერთერთს გაზეთ «თბილისის უნივერსიტეტის» რედაქცია გამოავლენს, მეორეს კი პროფესიონალი ფოტოგრაფებისგან დაკომპლექტებული ჟიური.

«ფოტო-კლუბის არსებობა, როგორც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის, ასევე, თავად სტუდენტების ინტერესებშიც შედის. თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას სჭირდება ფოტოგრაფები, რომლებიც მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე ფოტოებს გადაიღებენ. ის სტუდენტები კი, რომლებიც მოყვარული ფოტოგრაფები არიან, გამოცდილებას მიიღებენ. ამ ეტაპზე კიდევ რამდენიმე პროექტს განვიხილავთ, რომელსაც ჩვენი კლუბი გან-

ახორციელებს და რომელიც უახლოეს მომავალში გახდება «ცნობილი», — განაცხადა ფოტო-კლუბის ხელმძღვანელმა, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა დავით ჩქოტუამ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ფოტო-კლუბში, ამ დროისთვის, 15 ახალგაზრდაა განვერსიანებული. სტუდენტებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა იანვარში გამართულ კონკურსში, რომელზეც საახალწლო თემაზე გადაღებული ფოტოები წარადგინეს. გამოვლინდა გამარჯვებულებიც. გაზეთ «თბილისის უნივერსიტეტის» რედაქციამ საუკეთესოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის მარიამ გიორგაძის ფოტო დაასახელა, რომელზეც ნაძვის ხესთან მჯდარი «მეოცნებე» ძაღლია გადაღებული.

«ფოტოგრაფიით დიდი ხანია დაინტერესებული ვარ, მაგრამ გადაღება ორი წლის წინ დავიწყე. ძალიან მომწონს ფოტო-კლუბში მუშაობის პროცესიც, რადგან სხვადასხვა ღონისძიებებზე გვინევს ფოტოების გადაღება და გამოცდილებაც მემატება», — აღნიშნა მარიამ გიორგაძემ.

კონკურსის მეორე გამარჯვებული, ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ნუცა ნადირაშვილი გახდა. იგი II კურსზე სწავლობს და ბოლო ერთი წელია, რაც ფოტოების გადაღება დაიწყო. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ფოტო-კლუბში კი ფოტოგრაფიის მიმართულებით ცოდნის გაღრმავებისა და გამოცდილების მიღების მიზნით განვერსიანდა.

«იდეა უცებ გამიჩნდა. ძალიან ლამაზი ნაძვის ხე იყო და იმ სათამაშოს გადავუღე სურათი, რომელიც ჩემმა საუკეთესო მეგობარმა მაჩუქა და ჩემთვის ძალიან ძვირფასია. როგორც აღმოჩნდა, მას წარმატების მოტანაც შეძლება», — განაცხადა ნუცა ნადირაშვილმა.

ფოტო-კლუბის ხელმძღვანელობა კონკურსების ფარგლებში შერჩეულ საუკეთესო ფოტოების გამოფენას წლის ბოლოს მოაწყობს, სადაც გამარჯვებული ფოტოების ავტორებს სპეციალური პრიზები გადაეცემათ. საგაზაფხულო სემესტრიდან კი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ფოტო-კლუბის წევრებს ფოტოგრაფიაში მასტერკლასები ჩაუტარდებათ, რომელსაც პროფესიონალი ფოტოგრაფი იური მეჩითოვი გაუძღვება. წლის ბოლოს სტუდენტებს სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატებიც გადაეცემათ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ფოტო-კლუბში მოყვარული ფოტოგრაფების მიღება ამ დროისთვისაც მიმდინარეობს. მასში განვერსიანება ყველა იმ სტუდენტს შეუძლია, რომელიც ამ სპეციალობით არის დაინტერესებული და საკუთარი ფოტოაპარატი აქვს. ეს უკანასკნელი მოთხოვნა კლუბის ხელმძღვანელობამ იმით ახსნა, რომ თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას სტუდენტების ფოტოაპარატებით უზრუნველსაყოფად ფინანსური რესურსი არ აქვს.



მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭილაძე, თეა ჯულელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		